

572 /  
1978/2

საქართველოს  
ბავშვთა ჟურნალი



1978 აპრილი №8  
ბავშვი

## ჰინ პარიან

ნოღარ შამანაძე

ყვარელსა და სხვიტორს,  
ჩარგალსა და ვარიანს,—  
ყველა მიტომ შევხარით,  
მიტომ გვიყვარს ძალიან,  
ამ სოფლებმა გაზარდეს  
ერის ოთხი ღიღება;  
ვინ არიან ისინი,  
ხომ არ გეცოდინებათ?!



# ორი მეთევზე



ნოდარ კაკაელიძე

უთენია წამოღდა გუჩა ბაბუა. ტანთ ჩიცვა, გარეთ გამოვიდა, ღრმად ჩისუნთქა გამჭვირვალე კამკამა ჰაერის და კიბეზე დაეშვა. ვიღრე ბადე გამართა და ზღვაში გასასვლელად გაეშადა, ბრდოვიალა მზეც ამოვიდა, ქვეყანას თავისი მადლიანი სხივები გადმოაფრქვია.

მხარზე ბადეგადაკიდებული გუჩა ბაბუა ღიღინით გაუყვა შუკას. თან აქეთ-იქით დარბაისლურად ესალმებოდა თავიანთ ეზო-ყურეში გამოფენილ მეზობლებს.

— დილა მშვიდობისა, გოგიტა! — შედგა ერთი ეზოს წინ მოხუცი და ღობის ვადაღმა ბიჭუნას გადახედა. გოგიტამ ბადეს და გუჩას ბრეზენტის შარვალ-ხალათს თვალი შეივლო, მერე ყასიდად ჰკითხა:

— საით გაგიწვია, ბაბუა გუჩა?

— ძალიან კარგად იცი, საითაც გამიწვია, — მოხუცს სახე ღიმილმა გაუწათა, — ერთი პირდაღებული ვეშაბი უნდა დავიჭირო, ზღვაში თევზის განაგისი გააქრო იმ ვერანამ!

— მერე, მარტო როგორ მოერევი იმხელა ვეშაბს, არ გეშინია?

— ჰმ, მოერევიო?! მოერევი კი არა, ღღინს ვაეცლი, ჯერ ბოლოში წავატან ხელს, შემოვებარუნებ, პირდაპირ თვალეში ჩავხედავ და ვეტყვი; რა გინდა, რატომ არ შეეშვები საცოდავ თევზებს, დაიბრიყვე, განა! აბა, ახლა, თუ ვაქცავი ხარ, გამიძვლი-მეთქი. ერთს მოვიქნევ, ძალს ის იქნება, ძალს — მე, მაგრამ ჩემთან რას გახდება, დავებრტყავ ჯვალოს ტომარასავით და პირიდან გადაყლაპულ ცოცხალ თევზებს გადმოვყურვინებ, მაშ!

— ეგრე მოუხდება მაგისტანა ღორმუცე-ლას! — გაიხარა გოგიტამ.

— იცოცხლე, ღვარღვარად გადმოღვრის ცრემლს, მაგრამ მის ტირილს ვინ დაიჯერებს, გამოვებამ ნახვებ და წამოვათრევი ნაპირისაკენ.

— ბაბუა გუჩა, შეგიღებოც რომ ჰყავდეს, მაიც დაიქერ?



ნახატები ვახტანგ გულისაფხილისა

ქ. შარქისა...  
სახელმწიფო...  
ბი.ლი...



— შოო, — კევა მოიქევა მოხუცმა, — სიმარ-  
თლე გითხრა, ეგ აღარ გამითვალისწინებია,  
თუ პატარა შვილები ჰყავს, რაღას ვიზამ,  
ხომ არ დავაობლებ, ავღვები და ვაფუშვებ!

გოგიტას ცისფერი თვალები აუციმციმდა.  
— ბაბუა გუჩა, მეც რომ წამოგუყვე, რა მოხ-  
დება? ვეშაპის დაქვრაში მოგვხმარები.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ თქვენები  
გამოგიშვებენ?

ნებართვის შემდეგ, გახარებული გოგიტა  
რეზინის ჩექმებში გამოეწყო და ბაბუა გუ-  
ჩასთან ერთად ზღვისკენ გასწია.

ასე მგლობრობს ორი მეთევზე, გუჩა ბაბუა  
და პატარა გოგიტა.

ყოველ დილას გამოუვლის ხოლმე გოგი-  
ტას ბაბუა გუჩა და ზღვაზე ერთად მიდიან.  
გოგიტა ზღვისპირას მოკალათებს და ზღვა-  
ში, სათევზაოდ გასულ ბაბუა გუჩას მოთმი-  
ნებით ელის. თევზაობის მერე კი ორივე  
ერთად ბრუნდება შინ.

ერთ დილას გოგიტა, ჩვეულებრივად, მო-  
ხუცის შესახვედრად კიშკართან გამოვიდა,  
მაგრამ ბაბუა გუჩა არა და არ გამოჩნდა.

ბიკს ეწყინა, ნუთუ უჩემოდ წავიდაო და შინ  
მიაკითხა. უთხრეს; — დღეს ძალიან ადრე გა-  
ვიდა ზღვაში და შენ აღარ გავადვიძაო. რა-  
ღას იზამდა, ყურებჩამოყრილმა გამოსწია  
უკან. სახლის წინ — კიშკართან სკამზე ჩამოჯ-  
და და ზღვისკენ მიმავალ გზას გახვდა.

შუადღისას ზურა მეზღვაურმა ამოიარა:  
— გამარჯობა, გოგიტა! რა მოგივიდა, ყუ-  
რები რად ჩამოგიყრია? — შევხმინა მეზღვაუ-  
რი.

— გუჩა ბაბუა ზღვიდან ჯერაც არ დაბ-  
რუნებულა; ნამდვილად ვეშაპი დაიჭირა და  
მარტო ვერ გამოუყვანია!

— მერე, შენ არ წაიყვანა?

— ძალიან ადრე გასულა და აღარ გავად-  
ვიძაო, — სინანულით ჩაილაპარა გოგიტამ.

— ეროპა! — ჩაელიმა ზურას, — მაშ, ვეშაპი  
ეყოლება დაქვრილი?!

— ნამდვილად, — თავი დააქნია გოგიტამ, —  
თორემ ამდენ ხანს ზღვაში რა უნდა? მოდი  
და მივეშველოთ, ძია ზურაბ, იქნება რა  
უჭირს?

ზურაბმა ბიქს თავზე ხელი მოუთათუნა:  
— კარგი ბიჭი ყოფილხარ, რახან სწუხარ,  
წვიდვით, რა გაეწყობა!

ნაპირზე მეთევვეებმა დაუღასტურეს; გუნა  
მართლაღ ზღვაშიაო.

— ვგე, ხომ გეუბნებოდით?—ნიშნისმოგებით  
მიუგო გოგიტამ,—უთუოდ ვეშაპი დაიქირა  
და ვერ გამოაყავს!

გოგიტა, ზურაბი და რამდენიმე მეთევვე,  
რეიდზე მდგარ კატარლით ზღვაში შევიდ-  
ნენ. კატარლა მსუბუქად მინარნარებდა აქონ-  
რილ ტალღებზე. გემბანზე მდგარი მგზღვაუ-  
რები გაფაციცებით დაეძებდნენ ბაბუა გუნას  
ნავს.

გუნა პირველად მიანიც გოგიტამ დალანდა  
და შეჰყურია: „ვხედავ, ვხედავო!“

კატარლა ციმციმ მიუახლოვდა ნავს და  
შეღდა. ერთიანად ამოლუმბული მოხუცი ნა-  
ვის კიჩოზე გადმოკიდებულიყო და მთელი  
ძალით ეტაჩებოდა ბადეს.

— დამიბით, ჩქარა დამიბით!—ასძახა გუ-  
ნამ კატარლაზე მყოფთ.

გოგიტა სიხარულით ცას სწვდებოდა. ნავი  
კატარლას გამოაბებს და ნაპირისაკენ გასწივს.  
თევზით გატენილი ბადე ზღვაზე თეთრ კვალს  
სტოვებდა.

— გოგიტამ აღარ მოგვისვენა; მივეშვე-  
ლოთ, ვეშაპს დაიქვრდაო. რა იყო, მართლა,  
ხომ არ დაგიქვრია?—ჰკითხა ზურა მგზღვა-  
ურმა გუნა ბაბუას, როდესაც ნაპირზე გა-  
ვიდნენ.

— ჰო, ვეშაპი დავიჭირე,—ჩაიღიმა გუნა  
ბაბუამ,—მაგრამ ვეღარ მოვერიე, ვამეჭკა.  
ისე კი, იცოცხლე, გოგიტა, ჯვალოს ტომა-  
რასავეთ გადმოვერტყე და სულ დავაყრე-  
ვინე, რაც კი თევზი გადაეყლაპა!


— კარგი გიქნია, იმიტომაც წუხდა გოგი-  
ტა, ალბათ იგრძნო, მაგისთანა ღორბუცვლას  
რომ გადაეყრებოდი, ჩვენც შეგვაშინა და  
წამოგვიყვანა, თორემ ახლაც ზღვაში იქნე-  
ბოდი,—თქვა ერთ-ერთმა მეთევვემ.

— მაშ, როგორ!—ხელეები გაშალა ზურამ,—  
მეგობრობაც ამას ჰქვია, ასე რომ სჯირღება  
ყველა მგზღვაურსა და მეთევვეს.

# სოკო

გზინა ჩხატინანი

ტყეში, ტყეში,  
უღრან ტყეში,  
დიდ, შრიალა ტყეში,  
ნიაქ-ქარის,  
ნაკადულის  
ლამაზ სიმღერებში,  
სადაც ჩიტებს ზეიმი აქვთ,  
ჭანჭანს და ტაში  
და ფერწვლით გარს უვლიან  
წიფლის ტოტებს გაძლილს,  
სად წითური მელაკუდა  
ზის ბომბორან კულსე,  
სსნის ზღაბრებით სავსე გუდას  
და ცის ნაჭერს უმსერს,  
სად წკაპუნა რკოს კაცუნა  
თეთრი, ვურცხლის ბადით,  
ნაბდის ქედით—თეთრ დეაქსე  
სათუფსოვ დადის,—  
მაყმარცვალა მოცვის ბუჩქთან  
ჭრელკაბიან გოგოს  
ქძალეა წითელქუდა,  
კოჭმალალი სოკო.



ნახატი დარეჯან შილაგვილისა

# ანსაგული „შვილებიჭა“

ქიზვარდ ისაბაძე

მე,  
გია,  
შოთა,  
პაატა,  
რეზო,  
დათო და გელა  
ვმღერით და ვცეკვავთ, მიტომაც  
„შვილებიჭა“ გვიცნობს ყველა.  
ფხოში სცენა გავმართეთ,  
გავუჩემთ ჩითის ფარდა,  
გვეწვიეთ, კონცერტს უფასოდ—  
ყოველ საღამოს ვმართავთ!



## ციცინათულები

სირა ძიბიაშვილი

— ვარსკვლავმა რა გიჩურჩულა?  
გვითხარ—ლაშვე მთვარიანო,  
— ციკქნა ციციინათელები  
ჩემი ღებნი არიანო;  
ირთვებიან, ციმციმებენ,  
ჩემკენ მოიჩქარიანო,  
მიწაზე ვერ მპოულობენ,  
შორით შემომხარიანო.



# პიკველი ღლა

## ქლგუჯა მერაბიშვილი

მთია და თამელა სკიდან გამოვიდნენ, მაგრამ ვიდრე ფრთებს გაშლიდნენ, უკან მოიხედეს, გოჩის დაელოდნენ. არ ჩქარობდა გოჩი, ნელა მოდიოდა; ზამთარგამოვლილი, ხნიანი ფუტკარი. მთია და თამელა კი პირველად გადიოდნენ სკიდან, პირველად მიფრინავდნენ ნექტრის საძებნელად.

სანამ სკიდან გამოვიდნენ, გოჩიმ ყველა სართული მოატარა, აჩვენა, თაფლითა და ყვავილის მტვრით როგორ ავსებდნენ უჯრებს მუშა ფუტკარები; ზოგს ცვილი მოჰქონდა, ვინ ფუტკარის რძეს ეწოდებოდა—ვერცხებიდან გამოჩეკილი თეთრი, უფეხო მატლებისათვის. ირგვლივ თაფლისა და ყვავილების საამო სურნელი იდგა.

ახლა სკის წინ, პაწია ღია აივანზე იდგნენ, ფრთებს ითბობდნენ მზით და გასაფრენად ემზადებოდნენ. გოჩიმ ფრთები შემართა, ერთი-ორჯერ გაიარა მათ წინ, გაიბზულია და აფრინდა, ნორჩებიც მიჰყვნენ.

უჰ, რა კარგი იყო ფრენა! მზით გამთბარ ჰაერში სულ მაღლა და მაღლა ადიოდნენ.

ჩქარა სოფელი მოთავდა და მინდვრის თავზე დაეფარდი ცა გადაისარკა. გოჩი ნელა მიფრინავდა. დაბლა ლილისფრად ჰყვავოდნენ ყანის სოსნები, ცეცხლოვან მარჯალბად ელვარებდნენ ტუხტის ღეროები, ისევ თვლემდნენ ნაშინარევი ცისთვალეები, ოქროწყობები. ღელავდა, ტორტმანებდა ზღვაყანა.

წინამძღოლი რომელიღაცა დიდი ყვავილის ნაპირა ფოთოლზე შემოჯდა, ნორჩები გვერდში ამოიყენა, მერე დაუირავდა, მტვრინაში ვასწია და ოსტატურად ჩაძვრა ბუტკოს წიაღში. მოსწავლეებმაც მიბაძეს. სურნელით გაზავებული, ფურცლების მიმქრალი ნაზი საღებავებით დაფერილი ნამი კამკამებდა ყვავილთა ფიალებში. მთია და თამელა უკვე გაბედულად ჩადიოდნენ, მტვრინებთ დაჩრდილულ სანექტრეებს პოულობდნენ და უტკბილეს სითხეს ეწუებოდნენ; თვრებოდნენ ნექტრით, მაღლა ამოსვლა ავიწყლებოდათ.

გოჩი თავზე დაბზუოდათ, უხმობდა ნორჩ მეგობრებს და ახლა სხვა თაველებისაკენ მიჰყავდა. ათას ხმაზე მღეროდა ყანა, ტოკავდნენ ფოთოლთა და ყვავილთა ნაირფერი ქოლგები, კალათები, მარაოები. ყვავილის ნაზი მტვრით და-



განგლულები დაფრინავდნენ მთია და თამელა. ისე მიმზიდველი და უსაზღვრო იყო ველი, აღარ იცოდნენ—საით წასულიყვნენ. ერთ ლამაზ ყვავილს მიადგნენ, შორიდან ეჩვენათ ლამაზი, თორემ, როცა მიუახლოვდნენ, შეკრთნენ; მხეცის დაღებულ ხახხს მიაგავდა. გოჩი მაშინვე მათთან გაჩნდა.

— ეგ დევისპირაა, თავი დაანებეთ. მაგის ბუტკოში ჩასაძვრომი ხერელი ძალზე ვიწროა, შეიძლება ჩახვიდე და ველარ ამოხვიდე. მაგასთან მხოლოდ კრაზანები დაფრინენ.

იქვე ყაყაროს კაშკაშა თაველები ენთო, შიგ მომწევანო ხოქო—ბრინჯაოსანა დატრიალებდა, ციცივით ხმარობდა წინა თათებს და ნაშში ფუფასავით აწეულილ ყვავილის მტვერს მიირთმევდა. გოჩიმ ახლა სიმინდებისაკენ გაუხვია და სამივენი მწესსუმჩირის ყვითლად მოვარავარ დისკოზე დაეშვენენ.



ჩქარა გოჩის პირთამდე აევსო ჩიჩხვი, გადა-  
წვრიტა, აქვე დაეტოვებინა ნორჩები, სკაში მჩქე-  
ტანა ნექტარი და უკან დაბრუნებულიყო. არსად  
წახვიდეთო, დაუბარა და გაფრინდა.

გოჩი ჯერ სკამდე არ იქნებოდა მისული, მზემ  
რომ ფერი შეიცვალა, ქარმა ააღელვა სიმინდის  
ტყვრი. შეშინდნენ მთია და თამელა, სკისკენ  
დააპირეს გაფრენა, მაგრამ ქარმა სულ სხვა მხა-  
რეს წაიღო ისინი. ჩაფელში აღმოჩნდნენ, ირგ-  
ვლივ აღარც მზე ჩანდა და აღარც—უვავილები.  
ერთბაზად რაღაცის სურნელი იკრეს და იქით  
გაეშურნენ. სულ ახლოს გაშლილი ყვავილის  
თეთრი გვირგვინი დაინახეს, გულმა ველარ მოუთ-  
მინათ და ნელა დაეშენენ მის ფურცლებზე. მათ-  
რობელა სურნელს აფრქვევდა ყვავილი, მთიამ  
და თამელამ მტვრიანები იფარეს, ფურცლები  
მოიმპულდროეს და გაინაზნენ.

მალე ყვავილის თავზე ბინდის პეპლებმა დაი-  
წუეს ფარფატი, ნელა დაეშენენ მის ფურცლებ-  
ზე, მტვრიანებზე ხატულა ფრთები გადაშალეს  
და მთლად გადაფარეს ჯამფილი.

მთიას და თამელას ჩიჩხვები სავსე შქონდათ,  
მაგრამ არსად წახვლა აღარ შეეძლოთ. ქარი  
თეთრი ჰამაკივით აქანავებდა სურნელოვან ყვა-  
ვილს.

დლით გვიან გამოეღვიძათ. პეპლები გაფრე-  
ნილიყვნენ. ყვავილის თეთრ, ფუმფულა ფარ-  
ჩებში იწვნენ, ზემოდან თანდათან იხურებოდა  
თეთრი ფურცლების თალი. ძლივს მოასწრეს გა-  
რეთ გამომძრომა.

მაშინვე გოჩი შემოეფეთათ, შეშინებული მათ  
დაეძებდა.

— ეგ რა სუნი გდით! სად გეძინათ, ღამის  
ყვავილში?.. ვატყობ ბალის თამბაქოს ჯამფილაში  
ყრილხართ, ფუშ! ასე აქოთებულებს ახლა ვინ  
შეგიშვებთ სკაში?

მთიამ და თამელამ არ დაუჯერეს, არჩინად  
გაფრინდნენ სკისაკენ, სავსე ჩიჩხვების დასაც-  
ლელად. კართან მისულებს გზა გადაუღობა ფხი-  
ზელმა გუშაგმა და უკან გამოაბრუნა, დაიბანეთ  
და ისე შემოდითო. აღარ იცოდნენ, საით წასუ-  
ლიყვნენ, დაბნეულებს გოჩი წამოადგათ თავს.  
ღელიანისაკენ წაიყვანა, სიმინდები გადაატარა  
და უკვითლად გადაჰენტილ ვარსკვლავებთან მიიყ-  
ვანა.



— ესენი გოგრის ყვევილებია, ყველაზე დიდები აარჩიეთ, ჩაღით შიგ და მოიშორეთ ეგ სუნი.

გოგრის ყვევილები ვეება ყვითელი აბაზანე-ბივით ფერადი წყლით იყო სახსე, მთია და თათამელა მტვრიანებს ეხახუნებოდნენ, ნამში ბანაობდნენ და მხიარულად ბზუოდნენ. გული რომ იფერეს, მაღლა ამოვიდნენ, მტვრიანებზე გაგორდნენ და მზეს მიეფიცნენ.

გოჩი მივიდა, დაუნოსა და რაკი კარგად იყენენ დაბანილები, ორივე სკისაკენ წაიყვანა. კართან უამრავი ფუტკარი ირეოდა, ვაჟავეც იქ იყო, მაგრამ მინდვრიდან მომავალ მთიანეთამელას ყველამ თავაზიანად დაუთმო გზა, რომელთაც ჩინახვები სახსე ჰქონდათ და ყვევილის მტვრიც ბლომად მოუჩანდათ უკანა ფეხებზე. ხუმრობა ხომ არ იყო, იმ დღეს ნორჩებს თავიანთი პირველი ხარკი მოჰქონდათ სკაში.

# უაულო საჭია



ზოსცნის დარაჯად დააყენეს ლამით



და



იარტეზოდა, შეწუნდა



მოიყვანა თავისი მეკო



და ყველაფერი

უოსრა



და



ზასაფრდნენ, მობრძანდა ქურდზაცა, არც



იყო,

არც



არც



არც



მ.

გამოუღბა



გამოუნთო



და დარჩა



უაულოდ.



140 **ბახუსული** 140  
ილია

ტყემ მოისხა ფოთოლი,  
აგერ მერცხალიც ჭყვივის,  
ბალში ვაზი ობოლი  
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,  
აყვავებულა მთები,  
მამულო საყვარელო  
შენ როსლა აყვავდები?!

# სიყვანა იღია ჭავჭავაძის ცხელაჩხა

მშვიდობით ძმავო!.. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები. და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ, ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა—უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! მშვიდობით ძმავო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

აკაკი

## გ მშველეთის ტბა იღია

ბაზალეთისა ტბის ძირას  
ოქროს აკვანი არისო,  
და მის გარშემო, წელის ქვეშე,  
უცხო წაღვოტი ჰეყავისო.  
მწვანეა მუდამ წაღვოტი,  
არასდროს, თურმე, არ სჭვანება,  
ქვეუნიხა დროთა ტრიალსა,  
იგი არ ემოჩნილება.  
ამბობენ—თამარ დედოფალს  
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,  
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით  
ტბა კარვად ზედ გადუსურავს.  
ამას კი აღარ ამბობენ—  
აკვანში ვინ ჩააწვინა,  
ან თვით ერმა თვისი ცრემლი  
ზედ ტბად რისთვის დაადინა...  
იქნებ, აკვანში ის ერმა წევს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე-ღა-ღამ მხატრულობს  
ჩუმიხს ნატვრითა ქართველი?!

## იღია ჭავჭავაძის სახსოვრად

ვაჟა

საძირკველად აზრი ჩააგდე,  
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,  
მან გააბრწყინა სხივებით  
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: ალასრულა მან თვისი ვალი.

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ვგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

იღია



## მეავე წყალი

ლევანტ ჩართოლანი

ნახატი თაბაგ ხუშიფვილისა

მთელი დღე პაპანაქება სიციხეში თიბვით დაქანცული მამა შინ გვიან დაბრუნდა. ხელსახოცით ოფლი შეიმშრალა და ერთბაშად სამი თუ ოთხი ჭიქა წყალი დალია, წყურფილი მაინც ვერ მოიკლბა.

— ერთი ჭიქა მეავე წყალი წამალივით მომიხმებოდა, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

გიგამ თანაგრძნობით შეხედა მამას.

— რა ვქნა, ვერ მოვიცადე, ოჯახში ათასი საქმეა, ვერც ბავშვებს ვტოვებ უმეტადიყურად. გიგაც გვიან მოვიდა: მთიდან ხარები ჩამორეკა, — წუხილით თქვა დედამ.

— ერთი ციდა ბიჭი მთაზე როგორ გაუშვი? დიღას ავიდოდი და მე თვითონ ჩამოვრეკავდი.

— არ იცი ამის ამბავი? ხვალ თივის ზიგვას ვიწყებთო, რომ მითხარი, ამას ყური მოუკრავს და გაპარულა. აბა, მე კი არ გამოგზავნია.

ამ დაპარაკში გიგა შეუმჩნევლად გავიდა აივანზე. წყლის ტურბედი აიღო და ლამის სიბნელეს შეერია. მეავე წყალი სოფლიდან მოშორებით, მდინარის გაღმა — კლდიდან გადმოჩახუხუხებდა. კაიხვლა მანძილი იყო იქამდე, თანაც გვაჩინა და ბნელდა.

სოფლის ორღობეში ღრუბლებიდან გამომკრთაღმა მთვარემ ჩამოიხედა და გიგას გზა გაუნათა. ბიქს გამბედაობა მოემალა. უბანი უკან მოიტოვა. აგერ მდინარეც. გზაზე კუთხეჩამოქცეული კოშკის ჩრდილი გაწოდრიყო. გიგა შეფიქრინა და, უფროსი ბიჭების ნათქვამი გაახსენდა: — ამ კოშკში ბებერი ბუ ბუღობს და გარეთ მხოლოდ ღამით გამოდისო. თვალემატყეტილ, საბარელ ფრინველთან შეხვედრის შიშით შემკრთაღმა შედგა ფეხი ხიდზე.

სმენდაქცუვლია გადაიარა ხიდი და მდინარის პირას გამაფლვ ბილიკს გაუყვია. აქ გასულ ზამთარს მონადირეებმა ხაფანგით მგელი დაიჭირეს. მართლაც რა საშიში კბილები ჰქონდა! ბილიკზე ნაძვების ჩრდილში რა მოჩანს? მგელია თუ მეღა? გიგა ქვას ამოფეფარა, საეჭვო საგანს დაატყერდა. ერთხელ კიდევ გაუწია შინისაკენ გულმა, მაგრამ მაინც დასძლია შიში, თავი გაიმხნევა და იმ საეჭვო საგანს გულმოცემული მიუახლოვდა. უბრალო ბუჩქი აღმოჩნდა! ამის შემდეგ, ტყიდან ვეფხვიც რომ გამოლუბტეს, ისიც ვერ შეაშინებს.

ჭურჭელი წყლით აავსო და შინისაკენ სირბილით გაუტრია, თან სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ჩრდილს თვალს არიდებდა. ერთგან რაღაცამ შეიფრთხიდა, მღვღინებდა ისაგან ბიკს

გული აუფრთხიდა, გაიღრსა, ერთ ადგილზე შეიყვინა. მერე უცბად იმ ფრინველზე გაბრაზდა: — ნეტავ რას ფართხალებს ამ სიბნელეში! კარგი იყო მივპარვოდი და დამეჭირა, მაგრამ მამას დროზე უნდა მივუტანო ცივი წყალი.

სახლამდე არსად გაჩერებულა. ოთახის კარი თამამად შეაღო, ჭიკა მუავე წყლით შეავსო და მამას გაუწოდა.

— ბიკუს, საიდან გაჩნდა ეს ცივი წყალი? — გაიკვირა მამამ.

— ახლა მოვითანე, მუავე წყალია!


მამამ ჯერ გაოცებით შეხედა გიგას, მერე ღონიერი ხელებით დასწვდა და დედას სიამაყით გადაუღაპარაკა:

— სახარეს კოჭებში ეტყობა, უშიშარი ბიკი გვებრძება, უშიშარი!

# თუ გსურს...

## ბოლო მთვლეაძი

ზღვზე ცურვა განიზრახე? ისეირნე გემით, ნავით. ცის ლაქვარდში გსურს აიკრა? გელოდება თვითმფრინავი. რაკეტას კი არ სჭირდება არც ბენზინი და არც ნავთი. თუ გსურს მთვარეს გადუფრინო, უნდა გახლე კოსმონავტი.



# ბაკური

## ი ა მ ა ზ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მოგზარდა ქოჩორი, ორიოდე კიკიცი, ერთი სიტყვით, ბაკური გახდა დიდი ბიკი. ნეტამც მშობელ ქვეყანას ცოდნითა და ნიჭით გამოადგეს, გამიხდეს სასახელო ბიკი.

ნახატები

ღარაქვან ჰილავილია

# სუფრა

## უშანგი ბელია

იყო ერთი ღამურა. სულ იმას ჩიოდა, ბედი რომ მქონოდა, ღამურად არ დავიბადებოდიო, მაგრამ გულს მაინც არ იტყებდა; დღისით, მზისით გამოფრინდებოდა, ცოტას გაინავარდებდა და ასე ნელ-ნელაობით შეეჩვია სინათლეს.

ერთ მზიან დღეს, ლელიანს რომ გადაუფრინა, უცებ ლომს მოჰკრა თვალი, რომელიც ნე-ბიგურად გაწოლილიყო და თვლემდა.

— ნამდვილი მეფეა! ოხ, ოხ, რა არხეინად წეგა, მე შენ გეტყვი და, ვინმეს შეეშინდება, — გაიფიქრა გუნებაში და ცნობისმოყვარეობით რამდენჯერმე გადაუფრინ-გადმოუფრინა მთვლემარე ლომს, ფრთებიც გაატყალაშუნა, მაგრამ ნადირთა მეფეს ყურიც არ გაუბერტყავს.

ამის მერე ღამურამ მოსვენება დაკარგა, სულ ლელიანს უტრიალებდა, იმ უშიშარი ნადირს უთვალთვალბდა. მოსწონდა მისი გარეგნობა, მიხრა-მოხრა, ღრიალი.

თვითონაც ყველაფერში ბაძავდა, მაგრამ ლომისა არც ტანი ჰქონდა, არც — ტორი და არც — ხმა.

— სამაგიეროდ მე უფრო მოხერხებული ვარ, — თავს ინუგეშებდა ღამურა, მაგრამ ვერც მოხერხება შეელოდა რაიმეს; ვერა და ვერ ბედავდა ლომთან გამოლაბარაკებას.

იმ დღესაც დაბნეულად უტრიალებდა ბუნაგში მთვლემარე ნადირთა მეფეს. ლომი არხეინად იწევა და კულის ქნევით აბეზარ ბუზებს იგერიებდა. უცებ ღამურას გონება გაუნათდა: ადგილიდან მოწყდა და ზედ ლომის თავთან ციბრუტივით დატრიალდა, ტრიალ-ტრიალში ის ბუზები ზოგი გადასანსლა, ზოგიც — მიფანტ-მოფანტა და აქომიწივებულმა მორიდებით მერედა მიმართა ნადირთა მეფეს:

— ახლა კარგად მოისვენებ, ბატონო!

— დიდი მადლობა, — თავაზიანად მიუკო ნასიამოვნებმა ლომმაც.

— არაფერს, თუ რამე დაგჭირდება, აგერ, აქა ვარ, ერთი დაღრიალე და წამსვე შენთან გაეჩნდება.

ღამურა წამოვიდა და იქვე, მბრძანებლის ბუნაგის ახლო, დასახლდა.

— ლომის გაცნობა, როგორც იქნა, მოვაკა-

რახებინე, ახლა დაახლოება მინდა, საამისოდ კ'სუფრაა საჭირო, — გაიფიქრა ღამურამ. დღეები დღიდან სამზადისს შეუდგა. კეირის თქმულს ვერც იწეოდა, ვერც ნაშოვნი ჰქონდა. ერთი აწუხებდა მხოლოდ, სუფრა სად გაეშალა, ლომის ბუნავთან ახლოს, თუ მუხის ჩრდილქვეშ, სადაც ჭორიკანა ჩიტები იყრიდნენ თავს. ღამურამ ფრინველების თვალისდასაბრმავებლად, გულის გასახეთქად ისეც მუხის ჩრდილი არჩია და დღიდანვე ერთი ფუსფუსი და ბზრიალ-ტრიალი შექნა.

— ეგეც ვნახოთ, სტუმრად ვინ მოუვა, — ნიშნისმოგებით გაშალა ფრთები თვალებდაჭყეტილმა ნიბლიამ, რომელიც სუფრას შორიდან უთვალთვალბდა. ამის თქმა იყო და, მუხის ჩრდილქვეშ პირველი ლომი არ შემობრძანდა! ლომს დათვი და მელა უშეგვენებდნენ მხარს. ჩქარა იმათ წვერილფეხობა მოჰყვა და იცოცხლე, გაჩაღდა ქეიფი.

შუალამისას, როცა სუფრა აიშალა, შექეიფებულმა ღამურამ ნადირთა მეფეს ყურში რაღაცა წასჩურჩულა:

— კი, გნაცვალე, — უთხრა ლომმა და თავისი ტორი სუფრას დაამჩნია.

— იფ, კარგია, — თქვა ღამურამ და ახლა დათვს მიზბრუნდა, — თქვენი ავტოგრაფიც მიწყალობეთ პატივცემულით.

დათვმაც დაუბათქუნა სუფრას თათი და მერე, ასე, რიგ-რიგობით — ყველამ დატოვა თავისი ტორის თუ თათის ანაბეჭდი მასპინძლის სუფრაზე.

— მას შევინახავ და მომავალში ჩემი შვილიშვილები იამაყებენ. იტყვიან, ჩვენი ღამურა პაპა ნადირთა სული და გული იყოო.

გადიოდა დღეები, თავღამურა ხშირად დადიოდა ლომთან. ბუნაგს უსუფთავებდა, მის ახლოს ჭიანჭველასაც არ აჭაჭანებდა, როცა ლომი ბუნაგიდან გავიდოდა, მის ნაწოლში ჩაწეებოდა და თავი ისე ეჭირა, როგორც ლომს. თავგები და ჩიტები ამ სურათს ხშირად უყურებდნენ და სიცილისაგან იფხრიწებოდნენ:

— რა ძალა ადვას, მაგ საცოდავს, ვერა ხვედება, რომ ლომი არ არის!

მაგრამ ლომის ბრმა მიმბაძველს, — ნახევრად ჩიტს და ნახევრად თავგს, — თანამომძეთა ხმაც კი აღარ ეწეოდა, რადგან ნადირთა მეფის ჩრდილში, ჭკუსთან ერთად სმენაც დაეკარგა.



ნახატი გრიგოლ გაფრინდავჭვილისა

# სათევზაოდ

ოლეგ გველიანი

ბიჭო ვა,  
 სად ხარ, მალე!..  
 გელოდები, ჩქარა, მშაო,  
 ანკეები გავაშადე,  
 არ წამოხვალ სათევზაოდ?  
 ახლა არსად შეგულება  
 გრძელმორევეზე უკეთესი;  
 სწორედ გუშინ — იმ მორევში  
 დავიჭირე დიდი თევზი.



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა



# ყანა

ნუნუ ლალიძე

თბაქოწირილი უნა  
 დილის ბურუსში ცურავს,  
 ჰატარა გოგო ანა  
 წუროს წელით ავსებს სურას.  
 უღვამს ივარცხნის ტარო,  
 ნიავი ურხევს დაღალს,  
 ლაღად შრიალებს უნა,  
 მწვერი უმღერის ნანას,  
 ჰანას მიუტანს ცივ წვალს,  
 ჰატარა გოგო ანა.



# ქერა წარბები

სამუშაო

სოფის ძალზე ქერა და თხელი წარბები ჰქონდა, რაც მეტისმეტად სწყინდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ყოველ დღე სასკოლო იყურებოდა და შავ, ხშირ წარბებს ნატრობდა. „ეჰ, როგორ მალე შენობს მათი ასეთი უფერულულობა“, სინანულით ფიქრობდა თავისთვის.

ერთ დღეს კი ისეთი რამ მოუვიდა აზრად, საკუთარ თავზე გაბრაზდა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრეთ. რა მოიფიქრა? სრულიად უბრალო რაღაც: თმას რომ ვიპარსავთ და მერე უფრო ხშირი და უკეთესი თმა ამოგვდის.

ამოუტივტივდა თუ არა ეს აზრი გონებაში, მაშინვე მაკრატელს ეცა. თუმცა, ვიდრე წარბებს პირწმინდად შეიკრებდა, მაინც ჰკითხა თავს: თმასა და წარბებს შორის რა განსხვავებაა? არაფერიო!—გაუჭირებლად იპოვა იქვე პასუხიც და, მისდგა თავის ქერა, თხელ წარბებს.

უწარბო სოფი რაღაც სასაცილო რაღაცეებს ნას დაემსგავსა. მის დანახვაზე სიცილით იგუ-ღებოდა დიდი და პატარა, თან არც რჩევას ამალლიდა ვინმე: წარბების ადგილას ნახშირი გადაისვიო. ერთხელ დიდი ყუთით საჩუქარიც მოუტანეს, — ორი შავი, უზარმაზარი წარბი.

ამ სიცილ-ქილიკსა და მოლოდინში ექვსი თვე გავიდა. ხუმრობაა—მთელი ნახევარი წელიწადი?! სოფის გული გადაეღია, მეტის ატანა აღარ შეეძლო, ყოველ წუთს სასკოლო იყურებოდა; აი, ახლა ამომივა და აი, ახლა—შავი, ხშირი წარბებიო, მაგრამ საქმეში ხარ! არა და არ ჩანდა სანატრელი სიშავე. და, ბოლოს, ექვსი თვის მერე, როგორც იქნა, ამოუვიდა წარბები, მაგრამ ზუსტად ისეთი, როგორც მანამდე ჰქონდა, — ქერა და თხელი.

ძალიან დასწყდა გული, მაგრამ რაღას იზამდა, თუმცა მე რომ მკითხოს, — სოფის ის ქერა, თხელი წარბებიც მეტისმეტად უხდება და სულ ტყუილად წუხს.

ფრანგულიდან თარგმნა ნანა სტურუამ



ნახატი თამაზ ხუციშვილისა



# რად ჰყიყინებთ?

შალვა შუმლაძე

— ბაუაუებო,  
რად ვიუიყნებთ.  
არ დავისკდეთ ღბუყებდი,  
ნუთუ აღარ მოისუყნებთ,  
ნუთუ აღარ გბუყნდებთ?  
— დბიყუსბ, — წვიბბ მოყბ,  
აღბრბ გბბჭეს გბბღვის შიბი.  
ჭბღბ, რბტბმ არ ვბმღვრბთ  
ბმ სბკუბთბს მბბღბღბინბი?!



# ოპსსაჭახი

		გ	გ	ე	ც	ი
		გ	ე	ც	ა	
			ც	ო	მ	ი
		ღ	ა	თ	ვ	ი
თ	ხ	ი	ა	ი	წ	ა
		ბ	ი			

შეაესეთ ცბრბელი უჯრბღბი გბრბული ცბბველებბის სბხელებბით ბსე, რბმ ფერბღ სვეტში მბბღლოთ სბტყვბ „გბბბბბბ“. შებღვბნბ თბბბბსბს 65-ე სბშ. სკბბს მბბსუბველმ მბბ კვბრბკბშვბბღმბ.

# ბბბბბბ

ნბნბ შბბბბბბბბბბ

ბტუნფბ-ბტუნფბთ ავბრბბრბნფბ  
კბბე მე ბნეღბმ.  
სუღ ბცბბ სბფეხური,  
მეშვბღბბე ვღგბგბრბთ;  
ავბღბთბ-ნეღბმ ბეფბთ  
გბბშვბრბბ ბეღბ,  
სუღ რბმღვბნბ სბფეხური  
ღგვგბრბბ ბსბრბბენბი?!



ნანა ღვიწმუნაძე

\*\*\*

ალათასა, მალათასა,  
ხელი ჩაუკრათ კალათასა;  
ბაბუ მოლის დატვირთული,  
ღმერთი მისცემს ბარაქასა.


მელიას ხელობა

ბიზა ზონია

— ქათმებს რატომ იპარაგ  
შე ეშმაკო მელია?  
— რა ვქნა,  
ჩემი ხელობა  
მეტი არაფერია!

აბაბლი

— ხრინწიანი ხმით იყვიღა  
მამლაყინწამა, ჩემო ხვიჩა.  
— აღბათ მეღა დაესიზმრა,  
ხმაც იმიტომ ჩაეხლიჩა!




ჩეხუნსი

მა



მო



შეადგინი წულუკიძის რაიონის სოფელ  
ივანდილის ს.შ. სკ. მოსწავლემ ელენე ჯიმ-  
შელიძემ.

668/32

საქართველო  
ბიბლიოთეკა



რა ზღაპარს კითხულობს ძინა მხარაქიგულაუ?  
 მიხეილ სოლოვიოვისა

**შთავარი რედაქტორი მუხრან მატაძე**

სარედაქციო კოლეჯია: ანდრე ასათიანი (პეგ. მდიანი), ვლადიმერ ასათიანი, კაპიტანი გომიზიანი, ლილია მარია, მანუელ მარიაშვილი, ჯიჟიკა მარიაშვილი, გიორგი მარიაშვილი (სამ. რედაქტორი), იოსებ მარიაშვილი, რობერტ მარიაშვილი, ვიკი მარიაშვილი.

სამ. რედაქტორი: ვ. ი. ლომისიძის სახელობის პოეტთა ორგანიზაციის რედაქციის ხელმძღვანელი. ელ. მარიაშვილი მარიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ვიკი მარიაშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლომისი, 14. ტელ.: მ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პეგ. მდიანის — 93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის — 93-98-18; ელ. მარიაშვილი — 93-98-18; სამ. მარიაშვილი — 93-98-18.

დაიცავი ასეუბად 17/1-78 შ., ხელმოწერილია დასაბუთად 10/11-78 შ., ქალაქის ზომა 60x90 სმ, ფ. მარ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. ზედ. № 1754. „მლა“ № 8. ნა გრუნიტო მარ. ფ. მარ. 20 კა.

სამ. კა ტექ-ის  
 გამომცემლობა  
 Издательство  
 ЦК КП Грузии